სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080135070350620

№ 220 20 / იანვარი / 2020 წ.

ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 16 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ SMP200000174 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების ტრანსპორტით გადაყვანის მომსახურების (CPV-60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები; 60170000 - სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ტრანსპორტით გადაყვანისთვის საჭიროა ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელება. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცხადებული NAT200000203 ელექტრონული ტენდერი დასრულდა უშედეგოდ.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია NAT200000203 ელექტრონული ტენდერის უშედეგოდ დასრულებამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, როგორც საბავშვო ბაღების ფუნქციონირებას, ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში, შეფერხდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, რადგან, ვერ განხორციელდება აღსაზრდელთა ახლომდებარე სოფლებიდან შესაბამის ბაღებში ტრანსპორტირება. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17

აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია NAT200000203 ელექტრონული ტენდერის უშედეგოდ დასრულებამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, როგორც საბავშვო ბაღების ფუნქციონირებას, ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში, შეფერხდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, რადგან, ვერ განხორციელდება აღსაზრდელთა ახლომდებარე სოფლებიდან შესაბამის ბაღებში ტრანსპორტირება. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოცემული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რათა მან დამატებით შეისწავლოს ტენდერის უშედეგოდ დასრულების მიზეზები და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები შემდგომში ასეთი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ SMP200000174 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე